

## საქართველოს კანონი

### საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ

#### მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების განმტკიცება.

2. ეს კანონი ადგენს საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან პროცესის მონაწილეთა და დაინტერესებულ პირთა კომუნიკაციის წესს და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ამ წესის დარღვევისათვის.

#### მუხლი 2 კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოსამართლესთან კომუნიკაცია – საერთო სასამართლოების მოსამართლესთან ნებისმიერი ფორმით ურთიერთობა, მათ შორის, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო ან სხვა სახის ტექნიკური საშუალებით;

ბ) პროცესის მონაწილე – პროკურატურის მუშაკი, გამომძიებელი, ადვოკატი, წარმომადგენელი, მხარე, მესამე პირი;

გ) დაინტერესებული პირი – პირი, რომელიც დაინტერესებულია განსახილველი საქმის შედეგით და ამ მიზნით ცდილობს მოსამართლესთან კომუნიკაციას.

#### მუხლი 3. მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობა

1. საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე აკრძალულია პროცესის მონაწილეთა და დაინტერესებულ პირთა მოსამართლესთან კომუნიკაცია, რაც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან და არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.

2. ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება იმ ქმედებისათვის, რომელიც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

#### მუხლი 4. მოსამართლის პასუხისმგებლობა

1. პროცესის მონაწილის ან დაინტერესებული პირის მიერ მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს.

2. მოსამართლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის დარღვევა ჩაითვლება სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევად და გამოიწვევს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

#### მუხლი 5. პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა

საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნის დარღვევა განიხილება, როგორც პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელი, რაც გამოიწვევს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

#### მუხლი 6. ადვოკატის პასუხისმგებლობა

ადვოკატის მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნის დარღვევა ჩაითვლება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად და გამოიწვევს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

### **მუხლი 7. გამომძიებლის პასუხისმგებლობა**

გამომძიებლის მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

### **მუხლი 8. მხარის, მესამე პირის, წარმომადგენლის, დაინტერესებული პირის პასუხისმგებლობა**

1. მხარის, მესამე პირის, წარმომადგენლის ან დაინტერესებული პირის მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

2. თუ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს მოსამართლე, პროკურატურის მუშაკი, ადვოკატი ან გამომძიებელი, მათ მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს, შესაბამისად, ამ კანონის მე-4–მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

### **მუხლი 9. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილების სახეები**

1. მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის თაობაზე მიღებულ წერილობით შეტყობინებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

2. ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გამოვლენის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი:

ა) შესაბამისი რეაგირების მიზნით წარდგინებით მიმართავს ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს;

ბ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების დაჯარიმების თაობაზე.

3. თუ შეტყობინების განხილვის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მივა დასკვნამდე, რომ ქმედება შესაძლოა შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, საქმის მასალებს ქვემდებარეობის მიხედვით უგზავნის შესაბამის საგამომძიებლო ორგანოს.

4. თუ შეტყობინების განხილვის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მივა დასკვნამდე, რომ ქმედება არ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნებს, იღებს გადაწყვეტილებას მიღებული შეტყობინების რეაგირების გარეშე დატოვების თაობაზე.

### **მუხლი 10. მოსამართლესთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის წარდგინება**

1. საქართველოს პროკურატურის მუშაკის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი რეაგირების მიზნით წარდგინებით მიმართავს და შესაბამის მასალებს უგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურორს.

2. ადვოკატის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი რეაგირების მიზნით წარდგინებით მიმართავს და შესაბამის მასალებს უგზავნის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს.

3. გამომძიებლის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი რეაგირების მიზნით წარდგინებით მიმართავს და მასალებს უგზავნის შესაბამის თანამდებობის პირს.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობის პირები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის წარდგინებას განიხილავენ მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობებენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა ჩაითვლება გადაწყვეტილებად დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი უფლებამოსილია გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

6. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როცა დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს მოსამართლე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი რეაგირების მიზნით წარდგინებით მიმართავს და მასალებს გადასცემს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც წარდგინებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს “საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგინება განიხილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მონაწილეობის გარეშე.

### **მუხლი 11. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაჯარიმების თაობაზე**

1. მხარის, მესამე პირის, წარმომადგენლის ან დაინტერესებული პირის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე წერილობითი შეტყობინების განხილვისა და დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას დაჯარიმების შესახებ.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი – განკარგულება დაჯარიმების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს მითითებას ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისა და იმ გარემოებების თაობაზე, რომლებიც ადასტურებენ ასეთი დარღვევის ჩადენის ფაქტს.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი საჩივრდება სასამართლოში ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

4. დაჯარიმების შესახებ განკარგულებასთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელის განხილვაში დაუშვებელია იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელმაც მასთან აკრძალული ფორმით კომუნიკაციის თაობაზე მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

### **მუხლი 12. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**მიხეილ სააკაშვილი**

